

შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის“ რექტორის

ბრძანება #132

**2019-2020 სასწავლო წელს „ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ფინანსების“  
გამოცხადებზე რეგისტრაციისა, გამოცდების ჩატარების ვადების, სამაგისტრო გამოცდების  
კომპონენტების, კომპონენტებში მაქსიმალური ქულებისა და ხანგრძლივობის,  
ინტერვიუების თემებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ**

შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის“ დებულების მე-5 მუხლის, პირველი და მე-2 პუნქტების, მე-3 პუნქტის „ა“, „ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტებისა და შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი და საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგროვებული კრედიტების აღიარების წესის მე-3 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით უცხო ენაში ტესტირებისა და სპეციალობის წერითი გამოცდისათვის რეგისტრაციის ვადები განისაზღვროს 2019 წლის 5 აგვისტოდან 2019 წლის 01 სექტემბრის ჩათვლით.
2. უცხო ენაში ტესტირების და სპეციალობის წერითი გამოცდის ჩატარების თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 2 და 3 სექტემბერი.
3. ინტერვიუების თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 5 და 6 სექტემბერი.
4. დამტკიცდეს უცხო ენაში (ინგლისური ენა) ტესტირების კომპონენტები და კომპონენტებში მაქსიმალური ქულების ოდენობა დანართი 1 სახით.
5. დამტკიცდეს სპეციალობის წერითი გამოცდის კომპონენტები და კომპონენტებში მაქსიმალური ქულების ოდენობა დანართი 2 სახით.
6. უცხო ენაში (ინგლისური ენა) ტესტირების მაქსიმალური ხანგრძლივობა განისაზღვროს 1:30 სთ.
7. სპეციალობის წერითი გამოცდის მაქსიმალური ხანგრძლივობა განისაზღვროს 1 სთ.
8. დამტკიცდეს ინტერვიუების შემდეგი თემები:
  - ა) პროფესიული არჩევანის აღწერა და სწავლის მოტივაცია;
  - ბ) კანდიდატის დამატებითი ცოდნა საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით;
  - გ) მიღებული განათლება და პროფესიული საქმიანობა;
  - დ) შეხედულებები სხვა ალტერნატიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ;
  - ე) პროგრამაზე ჩაბარების მოტივაცია;
  - ვ) საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული აქტუალური ტენდენციების ცოდნა.

9. დამტკიცდეს 2019-2020 სასწავლო წელს „ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ფინანსებზე“ სტუდენტთა ჩარიცხვის მიზნით ინტერვიუების შემდეგი კრიტერიუმები:
  - ა) მოტივაცია და არჩევანის დასაბუთების უნარი;
  - ბ) კომუნიკაციის უნარი;
  - გ) თვითშეფასება და საკუთარი თავის წარმოჩენის უნარი;
  - დ) მენეჯერული უნარები.
10. დაევალოს ბიზნესის სკოლას საგამოცდო პროცესის უზრუნველყოფა.
11. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურს ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის;
12. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოცემისთანავე.

რექტორი,

აკაკი ხელაძე

დანართი 1

კომპონენტები	Reading	Listening
თითოეული კომპონენტის მაქსიმალური ქულა	14	6

დანართი 2

N	კომპონენტები	თითოეული კომპონენტის მაქსიმალური ქულა
1	მათემატიკური აზროვნება	30 ქულა
2	ბიზნეს სიტუაციის ანალიზი	10 ქულა
3	ფინანსები	10 ქულა
4	მენეჯერული აზროვნება	10 ქულა